| | |
|---|---|
| **საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება** | ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი<br>მისამართი: 6010, ქ. ბათუმი ნინოშვილის ქ., №35<br>ტელ/ფაქსი: (0422) 27 17 87<br>ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge |
| **საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება** | მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (ერთ წლიანი) |
| **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი** | პროგრამაზე დაიშვება ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი დარგის არანაკლებ ბაკალავრის, ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის ან სრული ზოგადი და შესაბამისი სამხედრო/სასპორტო პროფესიული განათლების მქონე პირი, რომელსაც საგნობრივი კომპეტენცია დადასტურებული აქვს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული გამოცდით.<br>**პროგრამის მიზანია** თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციის მქონე მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, ცვალებად პროფესიულ გარემოსთან ადვილად ადაპტირებადი საბაზო და საშუალო სკოლის საგნის მასწავლებლის მომზადება და განათლების სისტემაში არსებული კვალიფიციური მასწავლებლების დეფიციტის აღმოფხვრა. პროგრამის გავლის შედეგად კურსდამთავრებულები დაეუფლებიან მასწავლებლობისათვის აუცილებელ ცოდნას, პრაქტიკულ უნარ–ჩვევებს, ღირებულებებს, საგნის სწავლების დიდაქტიკას; შეძლებენ ეროვნების, სარწმუნოების და პოლიტიკური ნიშნით კუთვნილების მიუხედავად განახორციელონ მოსწავლეებისათვის მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით, მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსითა და დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული მოვალეობა და საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო აქტების მოთხოვნის შესაბამისი, ხარისხიანი განათლების მიცემა.<br>პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულზე გაიცემა შესაბამისი სერტიფიკატი. სერტიფიკატის მფლობელი უფლებამოსილია დასაქმდეს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურზე საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლად. ასევე არაფორმალური განათლების სექტორში, სწავლების, წვრთნის, ფასილიტატორის თუ საორგანიზაციო მიმართულებით. |
| **სწავლის შედეგები** | **ცოდნა-გააზრება:**<br>- იცნობს სასწავლო პროცესში დიფერენცირებული მიდგომების ძირითად პრინციპებს; იცის როგორ შექმნას მოსწავლეებისათვის მამოტივირებული სასწავლო გარემო-ფიზიკური, სოციალურ-ემოციური და კოგნიტური;<br>- იცის როგორ შექმნას ინკლუზიური, მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული კეთილგანწყობილი სასწავლო გარემო;<br>- იცის სკოლაში თანამშრომლობითი კულტურის ჩამოყალიბების ხელშემწყობი ძირითადი ფაქტორები და აცნობიერებს თანამშრომლობითი გარემოს მნიშვნელობას საკუთარი პროფესიული განვითარებისა და სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაში; |

| | |
|---|---|
| | - იცნობს ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, ეროვნულ სასწავლო გეგმას, ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის, უცხოური ენების, ქიმიის, ბიოლოგიის, ფიზიკის, გეოგრაფიის, ისტორიის, სამოქალაქო განათლების ფიზიკური აღზრდისა და სპორტის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნობრივ სტანდარტებს;<br>- იცნობს განათლების სისტემის სტრუქტურას, მიზნებს და მასწავლებლის საქმიანობის მარეგულირებელ დოკუ-მენტებს;<br>**უნარები:**<br>- შეუძლია შექმნას დადებითი სასწავლო გარემო მოსწავლეების ინდივიდუალური, სპეციალური საჭიროებების, მათი კულტურული მრავალფეროვნების გათვალისწინებით და ხელი შეუწყოს კლასში თითოეული მათგანის მოტივირებას და ჩართულობას სასწავლო პროცესში;<br>- შეუძლია უსაფრთხო, თავისუფალი სასწავლო გარემოს შექმნა თითოეული მოსწავლის პიროვნული, სოციალურ-ემოციური და კოგნიტური განვითარებისთვის;<br>- შეუძლია სსსმ მოსწავლეების ინტეგრირება სასწავლო გარემოში სპეციალისტების რეკომენდაციების საფუძველზე;<br>- შეუძლია მოსწავლეებთან, კოლეგებთან, თემთან ეფექტური კომუნიკაცია და საქმიანი თანამშრომლობა;<br>- შეუძლია ზოგადი განათლების ჩარჩო-დოკუმენტზე დაყრდნობით, სწავლების საბაზო და საშუალო საფეხურზე, მოსწავლესა და შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა. გაკვეთილის დაგეგმვისას შეუძლია შიდასაგნობრივი და საგანთაშორისი კავშირე-ბის გათვალისწინება;<br>- შესაბამისი სპეციალისტების ჩართულობით, შეუძლია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება;<br>- შეუძლია მოიძიოს, შეარჩიოს, შექმნას და გამოიყენოს დამხმარე რესურსი ICT ტექნოლოგიები სასწავლო გეგმის და მოსწავლეთა საჭიროების გათვალისწინებით;<br>- შეუძლია მოსწავლეებში საბაზისო აკადემიური და სოციალურ-ემოციური უნარების განვითარების ხელშეწყობა მათი ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით;<br>- შეუძლია მოსწავლეთა შეფასების მეთოდების გამოყენება თითოეული მათგანის მიღწევისა და პროგრესის შესაფასებლად;<br>- თვითშეფასების, კოლეგებისაგან, დირექციისაგან, მოსწავლეებისაგან, მშობლებისაგან მიღებული უკუკავშირისა და მოსწავლეთა საჭიროებების ანალიზის საფუძველზე შეუძლია საკუთარი პრაქტიკის კომპლექსური, თანმიმდევრული და კრიტიკული ანალიზი და პროფესიული განვითარების შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა.<br>**დამოკიდებულებები და ღირებულებები:** |

| | |
|---|---|
| | - ორიენტირებულია უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე. სხვადასხვა გზით სიახლეების ათვისებასა და პრაქტიკაში მათ დანერგვაზე; აცნობიერებს სასკოლო პრაქტიკის სრულყოფის მნიშვნელობას. |
| **შეფასების წესი** | სტუდენტის ცოდნის შეფასება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებისა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის N111 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ–ს ბაკალავრიატის და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“-ს შესაბამისად.<br>სტუდენტის ცოდნის შეფასება ყოველ სასწავლო დისციპლინაში ხორციელდება 100 ქულიანი სისტემით, სადაც:<br>ა. მიმდინარე აქტიურობა – 40 ქულა;<br>ბ. შუალედური გამოცდები - 20 ქულა;<br>გ. დასკვნითი გამოცდა - 40 ქულა.<br>შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არის 21 ქულა, ხოლო დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 20 ქულა.<br>სტუდენტს სასწავლო კურსი ათვისებულად ჩაეთვლება, თუ ის მიიღებს ერთ-ერთს შემდეგი დადებითი შეფასებებიდან: ა) (A) ფრიადი - 91 ქულა და მეტი; ბ) (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა; გ) (C) კარგი - 71-80 ქულა; დ) (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა; ე) (E) საკმარისი - 51-60 ქულა.<br>(FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება ეძლევა დამატებით გამოცდაზე ერთხელ კიდევ გავიდეს. (F) ჩაიჭრა - 40 ქულის ან ნაკლების მიღებისას სტუდენტს საგანი თავიდან აქვს შესასწავლი. |
| **საკონტაქტო პირი** | **ლელა თავდგირიძე**-ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის პროფესორი<br>**საკონტაქტო ინფორმაცია:**<br>ტელეფონი:(+995)577979379<br>ელ.ფოსტა:lela.tavdgiridze@bsu.edu.ge |